HEINRICH BOLL STIFTUHG

სამხრეთ კავკასია

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲔᲑᲐᲢᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲰᲐᲘᲜᲠᲘᲰ ᲑᲘᲝᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ „ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲠᲔᲗᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲔᲑᲐᲢᲔᲑᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲤᲝᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲨᲘ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ

20 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 2012 ᲬᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘ №1

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲚᲐᲖᲘᲙᲐ?! -ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲔᲑᲘ

ᲝᲗᲐᲠ ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲔ

თუკი მოხდება ჭაობების დაშრობა და იქ არსებული ფლორის და ფაუნის განადგურება, რომელიც ამ ეტაპზე იმ ტერიტორიაზე არსებობს ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, ტურისტულ მიმზიდველობას ქალაქი დაკარგავს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მხოლოდ ტურისტული აქტივობის მაღალი დონის ასამაღლებლად და ახალაშენებული შენობების დასათვალიერებლად ჩამოიყვანენ ტურისტებს. რაც შეეხება საპორტო მნიშვნელობას, აქაც, გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, არც ბათუმს და არც ფოთს არ გააჩნია იმდენი დატვირთვა, რომ შემოსავლების გაზრდის მიზნით საჭირო იყოს ახალი პორტის აშენება.

ᲚᲐᲨᲐ ᲖᲐᲠᲒᲘᲜᲐᲕᲐ

ჩვენ ვკარგავთ ძალიან სერიოზულ პერსპექტივას ფრინველებზე დაკვირვებისთვის. ერთ-ერთ საუკეთესო ადგილებად არის მიჩნეული კოლხეთის ჭაობები. გამომდინარე იქედან, რომ თვითონ ტრასაზე მდებარეობს ეს ტერიტორიები ფრინველების გადაფრენისთვის და რაც მთავარია ვკარგავთ ინვესტიციებს. როდესაც გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ ამ პროექტს დაუპირისპირდნენ და ან თუ ჩვენ რამსარის კონვენციისგან გამოვალთ იმ შემთხვევაში ცხადია, დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ ევროპული და ზოგადად განვითარებული ქვეყნების ინვესტიციები ქვეყანაში არ შემოვიდეს და ისევ დავრჩეთ იმ არაბული და სხვა აგრესიული ინვესტიციების დონეზე, რომლებიც წლიდან წლამდე ვერაფერს ვერ ქმნიან.

საჯარო დებატები ლაზიკას მშენებლობასთან დაკავშირებით სამოქალაქო განვითარებისა და ინტეგრაციის ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ არასამთავრობო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმოადგენლები.

მთავარი მომხსენებლები იყვნენ: ლაშა ზარგინავა - არასამთავრობო ორგანიზაცია „მედია და საზოგადოება"

ოთარ კიკვაძე - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტი. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ არანაირი გეგმა არ არის წარმოდგენილი, ამ გადასახდიდან შეიძლება ცოტა უტოპიურად მოგვეჩვენოს ეს იდეა, როგორც აცხადებენ 10 წლის განმავლობაში ამ ქალაქში უნდა იცხოვროს ნახევარმა მილიონმა ადამიანმა და ეს იქნება საპორტო და ტურისტული ტიპის ქალაქი. მოდით განვიხილოთ თითოეული კომპონენტი, ჩემი აზრით ტურისტული კომპონენტი ამ შემთხვევაში შეიძლება ნაკლები იყოს, თუკი მოხდება ჭაობების დაშრობა და იქ არსებული ფლორის და ფაუნის განადგურება, რომელიც ამ ეტაპზე იმ ტერიტორიაზე არსებობს ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, ტურისტულ მიმზიდველობას ქალაქი დაკარგავს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მხოლოდ ტურისტული აქტივობის მაღალი დონის ასამაღლებლად და ახალაშენებული შენობების დასათვალიერებლად ჩამოიყვანენ ტურისტებს. რაც შეეხება საპორტო მნიშვნელობას, აქაც, გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, არც ბათუმს და არც ფოთს არ გააჩნია იმდენი დატვირთვა, რომ შემოსავლების გაზრდის მიზნით საჭირო იყოს ახალი პორტის აშენება. გარდა ამისა, რომც გაკეთდეს იქ კარგი პორტი, როგორც ამბობენ ყველაზე კარგი მისადგომები ამ ქალაქს გააჩნია, ალბათ წარმუდგენელია 100 ათასი ადამიანი დასაქმდეს ერთ პორტში, ყველა ქალაქში მცხოვრები იქ ვერ დასაქმდება. შესამუშავებელია ბიზნეს გეგმა. კარგად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული მიმართულებები, თუ რა გზით წავა ეკონომიკური პოლიტიკა ამ ქალაქში. რაც შეეხება თანხების მოზიდვას, ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე გზა არსებობს. ამისთვის საჭიროა 1,5 მილიარდი აშშ დოლარი. ბუნებრივია ამის რესურსი საქართველოს ბიუჯეტს არ გააჩნია. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა თანხების მოძიებას აპირებენ უცხოელი ინვესტორებისგან,

რაც ნაკლებად სავარაუდოა ჩემი აზრით, თუ გადავხედავთ ბოლო პერიოდის სტატისტიკას ინვესტიციების მოცულობა ბოლო წლების განმავლობაში 1,5 მილიარდი არც არის და როგორ წარმოგიდგენიათ ერთი ქალაქისთვის გამოიყოს ამხელა რესურსი, თუნდაც უცხოური ინვესტიციების ხარჯზე. კიდევ ერთი წყარო შეიძლება გამოიყენონ- გრძელვადიანი კრედიტის აღება, რომელიც კიდევ უფრო დაამძიმებს ჩვენი მოსახლეობის მდგომარეობას. ვიცით, რომ საგარეო ვალი 50%-თან მიახლოებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელთან და თუ ვალი 50%-ს გადასცდება ეს ქვეყნის იმიჯსა და რეპუტაციაზე ძალიან ცუდად აისახება. ეს იყო სულ, რაც მინდოდა მეთქვა.

ირაკლი აბსანძე (მოდერატორი): პრეზიდენტის განცხადებით სახელმწიფო 10 წლის განმავლობაში მილიარდ ლარს დახარჯავს ამ ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის. ეს რამდენად რეალურია?

ოთარ კიკვაძე, (კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტი) : მაქვს ინფორმაცია, რომ სახელმწიფო თვითონ დახარჯავს 200 ათას ლარს ცენტრალური ბიუჯეტიდან, დანარჩენი იქნება მოზიდული უცხოური ინვესტიციებიდან.

ირაკლი აბსანძე (მოდერატორი): 1,5 მლრდ ლარი არის საკმარისი თანხა ნახევარი მილიონიანი ქალაქის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად? რაღაც ძალიან არარეალური თანხა გახლავთ.

ოთარ კიკვაძე, (კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტი): ნამდვილად არ არის რეალური თანხა. ამ ყველაფერს კარგი დათვლა სჭირდება.

ლაშა ზარგინავა, (მოწვეული ექსპერტი): იდეის გაჩენისთანავე ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის არასამთავრობოებთან ერთად ამ პროექტის ადვოკატირების პროცესში ვცდილობდით საზოგადოებისთვის საინტერესო ინფორმაცია მოგვეპოვებინა, რადგან წინასწარი განხილვა ამ თემასთან დაკავშირებით თუ რა უნდა აშენდეს, ან როგორ, ფაქტობრივად არ ყოფილა. ამიტომ საპრეზენტაციოდ გავამზადე სწორედ ის ინფორმაციები, რომელიც ამ ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით ხდებოდა. დავიწყოთ იქიდან, თუ ვინ იყო ინიციატორი: იყო პიროვნულად, 2011წლის 4 დეკემბერს პრეზიდენტმა ვერტმფრენიდან გვამცნო, რომ თბილისის შემდეგ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში აშენდებოდა თავისი მასშტაბებით ყველაზე დიდი ქალაქი. ეს იყო და ეს. პრეზიდენტის ამ განაცხადების შემდეგ არანაირი განხილვა ამასთან დაკავშირებით არ ყოფილა. მაშინდელი განცხადებით 10 წელიწადში ქალაქ ლაზიკას მინიმუმ ნახევარი მილიონი მოსახლე ეყოლება, თუმცა არ დაუკონკრეტებია, საიდან. ჩვენ გვახსოვს 3-4 წლის წინანდელი პრეზიდენტის განცხადებები, როდესაც ის ფოთის განვითარებაზე საუბრობდა და მაშინ, აღნიშნავდა, რომ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში ფოთის მოსახლეობა იქნებოდა 150 000. ეს რაოდენობრივი შევსება მოხდა კიდეც აფხაზეთიდან დევნილების ხარჯზე, რომელმაც ქალაქში არსებული სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. როდესაც ეკონომიკურ ეფექტზე ვსაუბრობთ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ფოთის ეფექტურობაზე შავი ზღვისპირეთში და კონკრეტულად ფოთში, გასულ წელს პორტიდან 800 ადამიანი დარჩა უსამსახუროდ და არავინ არ იცის კიდევ რამდენს მოუწევს ივნისში სამსახურის დატოვება. მაერსკის შვილობილი კომპანია „აი პი ემ ტერმინალსი" აპირებს გადაიარაღებას. ახალი ტექნოლოგიების შემოდინებას კი ყოველთვის, მოყვება სამსახურებიდან მუშახელის გადინება. ასევე პრეზიდენტის განცხადებაა, რომ ლაზიკა გახდება მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი დასავლეთ საქართველოში და მთავარი ცენტრი მთელს შავ ზღვაზე, თუმცა არც ამის ანალიზი არავის არ უნახავს და დოკუმენტურად ეს არავინ ვიცით, რის ხარჯზე მოხდება და როგორ მოხდება, თუ ჩვენ ვამბობთ იმას, რომ ანაკლიასთან ახლოს რადგან იქნება ეს ქალაქი და ვიგულისხმებთ იმას, რომ აქაც შეიძლება განვითარდეს ტურიზმი და შემოვიდეს შემოსავალი, მაშინ დავითვალოთ მიუხედავად დიდი პიარისა და სარეკლამო კამპანიისა თუ რამდენი დამსვენებელი ჰყავდა ანაკლიას. თუ არ ჩავთვლით იმას, როგორ ხდებოდა ადმინისტრაციული რესურსებით იქ ადამიანების ჩაყვანა, სპეციალური ავტობუსებით. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ დავიწყეთ ადვოკატირების პროცესი და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა. პირველად მივწერეთ გარემოს დაცვის სამინისტროს, რადგანაც ჯერ კიდევ უცნობია კონკრეტულად სად აშენდება ქალაქი. გვაინტერესებდა გარემოს დაცვის სამინისტროსგან ხომ არ შედიოდა ლაზიკას ასაშენებელი ტერიტორია ეროვნული პარკის საზღვრებში? ან ხომ არ აშენდებოდა დიდი ქალაქი ამ ტერიტორიის მოსაზღვრედ? ასეთ შემთხვევაში გარემოს დაცვის სამინისტროს პირველ რიგში უნდა გაეკეთებინა განცხადება და უნდა ყოფილიყო რეაგირება ამ ფაქტზე. უნდა ეცნობებინათ გაეროს რამსარის კონვენციისთვის, რომელსაც საქართველო 1996 წელს შეუერთდა და ამაზე ცოტა დაბლა ვისაუბრებთ, თუმცა ჩვენ გარემოს დაცვის სამინისტროსგან ამასთან დაკავშირებით ვერანაირი პასუხი ვერ მივიღეთ, წერილი გაგზავნილია 30 იანვარს და დღემდე ველოდებით პასუხს. ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა სამხარეთ ადმინისტრაციისგან, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ნაციონალური არხებით მუდმივად საუბრობს იმაზე თუ როგორი იქნება ლაზიკა და როგორ აშენდება და როგორი იქნება მისი დატვირთვა, ჩვენი დაინტერესება დარჩა დაინტერესებად და მათგან ვერანაირი კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ.

პასუხი გაგვცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოგვწერა, რომ არ შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში, მათ არა აქვთ ინფორმაცია, თუ რა ხდება ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიის ოფიციალური რუქა იქ არ არსებობს, როგორც ტელევიზიებისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს პრეზიდენტი და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ეს ტერიტორია მოიცავს ანაკლიასა და ყულევს შორის მანძილს. ყულევი ტერიტორიულად ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაქვემდებარებაშია, ანაკლია თავისთავად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაქვემდებარებაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოგვწერა პასუხი, სადაც ოდნავ რაღაც ნათელი შტრიხი იქნა შეტანილი, ხობის მუნიციპალიტეტიდანაც გვაინტერესებდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან რა ხარჯები იქნებოდა გაღებული. ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა ამასთან დაკავშირებით ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოგვწერა, რომ იანვარში დაგეგმარებასთან და რიგი სამუშაოების ჩასატარებლად და მისასვლელი გზის გასაკაფვად 85 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, არა ადგილობრივი ბიუჯეტიდან არამედ ცენტრალური მთავრობის მიერ.თუმცა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდანაც ვერ მივიღეთ ზუსტი პასუხი, შედიოდა თუ არა ეს ტერიტორია მათ მუნიციპალიტეტში და კონკრეტულად რომელ ტერიტორიებს მოიცავდნენ. არადა წესით უნდა ჰქონდეს ნებისმიერი მუნიციპალიტეტის გამგეობას, როდესაც ასეთი დიდი პროექტები ხორციელდება.

გარემოს დაცვის სამინისტროსგან ჩვენ ასევე ვითხოვდით ინფორმაციას, არსებობდა თუ არა გარემოზე ზემოქმედების შეფასება, თუნდაც რაიმე დოკუმენტი. თუმცა, ამ წერილზეც პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. ნაციონალური არხების კადრებიდან ამოჭრილი ფოტოების გარდა რაიმე კონკრეტული რუკა ჯერჯერობით არ არსებობს, რაც კიდევ უფრო ართულებს რეალიდირებას, კოლხეთის ეროვნული პარკის ახლოს ამ უდიდესი პროექტის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს უკუ შედეგები. ანუ ფაქტობრივად არასამთავრობო სექტორი, რომელიც მსგავს პრობლემებზე რეაგირებს, დღემდე ხელ-ფეხ შეკრულია, მათ შორის დიდი არასამთავრობო ორგანიზაციები, იმის გამო, რომ მათ არა აქვთ კონკრეტული ინფორმაცია, რამსარის კონვენციაში წარსადგენად. უნდა მიუთითო, რომ ეს შენდება შენს ტერიტორიაზე, ან თქვენს მოსაზღვრე ტერიტორიაზე, ამას სჭირდება ოფიციალური დოკუმენტები. რამსარის კონვენცია არის ერთ-ერთი ძალიან მკაცრი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ითხოვს ყველაფერს დადასტურებულად, პირველ რიგში, მათი დაინტერესების საგანი არის, დოკუმენტი რომელიც გაქვს გამოთხოვილი ან მოძიებული ხელისუფლე-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-6 ᲒᲕ.